პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და შენახვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ" ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუქნტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და შენახვის წესი N1 დანართის შესაბამისად.

(დანართი N1 დადგენილებას თან ერთვის)

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ ქუჩების ჩამონათვალი რომელზეც ნებადართულია მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლა და შენახვა დანართი N2-ის შესაბამისად.

(დანართი N2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის, ძაღლისა და კატის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 15 ივნისის №115 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 22.06.2011, N010250020.35.123.016067)

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 მარტიდან

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი